ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4368169

ნომერი: AR1659039

თარიღი : 04.02.2019

გაცემის თარიღი : 08.02.2019

გაცნობის თარიღი : 11.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 4ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კოტე მორალიშვილი პ/ნ 21001003516
- ჩიქოვანის ქ. #5

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2697387
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.07.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. + 10.40 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გადახურვის მასალა. მოსაპირკეთებელი მასალები არ უნდა გაუარესდეს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში და ლესვა-ღებვის და მოპირკეთების სამუშაოები უნდა იქნას შესრულებული და დამოწმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

2. საავტომობილო პანდუსის ტექნიკური პარამეტრები საჭიროა შეუსაბამოთ მოქმედ სამშენებლო ნორმებს. ამასთან, პანდუსი არ უნდა ცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს.

3. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული +36.00 ნიშნულის ანაზომი.

4. სადარბაზოს კარებთან შესავსებია სივრცე. წარმოსადგენია აღნიშნული ცვლილების ამსახველი ფოტომასალა.

5. +7.20 ნიშნულზე შესამინია აივნის მოაჯირების ნაწილი, არ არის მოწყობილი დეკორატიული ჟალუზების ნაწილი გათბობის ქვაბებისთვის, სახურავზე შესაღებია კიბის უჯრედის გარე კედლები, ,,5-4"- ,,ე-დ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბის მოაჯირი, გაუქმებულია შშმ პირთა პანდუსი. უნდა იქნას დასრულებული აღნიშნული სამუშაოები და დადასტურებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

6. წარმოსადგენია კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნა დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე (მათ შორის უნდა იქნას განხილული მდგრადობის საკითხი) და შემსრულებელი ექსპერტის მონაცემები.

7. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული კეთილმოწყობის ანაზომი გამწვანების ფართობების დატანით.

8. საჭიროა მოხსნილ იქნას შლაგბაუმი და დადასტურებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის მერიის მუნი ციპალური ინსპექციის მიერ.

9. საჭიროა წარმოდგენილი იქნას ამხანაგობა "ჩიქოვანი N5-ის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ოქმი განხორციელებული მშენებლობის დადასტურების თაობაზე.

10. საჭიროა წარმოდგენილი იქნას ამხანაგობა "ჩიქოვანი N5-ის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ოქმი განხორციელებული მშენებლობის დადასტურების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge